

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა აცხადებს ღია კონკურსს პროფესიული საჯარო მოხელის - საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის პერიოდულ გამოცემათა დამუშავების განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად (2 - სამშტატო ერთეული). ვაკანსიების ადგილმდებარეობა - ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი.

კონკურსი ტარდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების შესაბამისად.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

განცხადებები მიიღება:

2019 წლის 20 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით.

კონკურსში მონაწილეობისათვის კანდიდატმა განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონულად, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით;

კანდიდატს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება გაკეთებულ განაცხადში საჯარო დაწესებულების მიერ განაცხადის წარდგენისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე;

კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს მიაწოდოს უტყუარი ინფორმაცია საკონკურსო მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კანდიდატმა შესაბამის ველებში უნდა ატვიროთ:

1. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი);

დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი საბუთის შემთხვევაში, საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

არასრულყოფილი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, კანდიდატი კონკურსის II ეტაპზე არ დაიშვება.

კონკურსი ტარდება 2 ეტაპად:

ა) I ეტაპი გულისხმობს კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას, რაც გულისხმობს გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ ძირითად, სპეციალურ და დამატებით მოთხოვნებთან კანდიდატის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმებას;

კონკურსის მომდევნო ეტაპამდე 7 კალენდარული დღით ადრე საკონკურსო კომისია ელექტრონულად აცნობებს კანდიდატს მის მიერ წარდგენილი განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

ბ) II ეტაპი გულისხმობს კანდიდატის შეფასებას ვაკანტური თანამდებობისათვის დადგენილი სპეციალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. კანდიდატის შეფასება ხდება: ა) ზეპირი დავალებით; ბ) გასაუბრებით.

კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში გასაუბრებაზე შეიძლება განხორციელდეს გასაუბრების აუდიოჩაწერა;

კონკურსის II ეტაპი გაიმართება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (მისამართი: ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა №7)

საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის მიერ ხმათა უმრავლესობით, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

საკონკურსო კომისია შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.